პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 92 (1574) ხუთშაბათი, 4 აგვისტო, 1960 წ. გამოცემის მე-17 წელი. ფასი 30 კაპ.

რ. ქვაჩაკიძე—კანდიდატი

31 ივლისს მოსკოვში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა მორიგი შეჯიბრება რომში წამსვლელთა თავისუფალი ადგილების შესავსებად. ამას წინათ ჩატარებული საკავშირო პირველობის შემდეგ კომისიამ მხოლოდ ორ-ორი მონაწილე შეარჩია, მესამე კანდიდატის შერჩევა კი მომავალს მიანდო. მაშინ ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებულმა ტერ-ოვანესიანმა აჩვენა 7.81 მ, ხოლო მეორე ადგილზე გამოსულმა ბონდარენკომ — 7.78 მ. მაგრამ ღიად დარჩა მესამე სპორტსმენის საკითხი. იგი უნდა გადაეწყვიტა ამ და 7-8 აგვისტოს ჩატარებულ შეჯიბრებებს. ამჯერად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა რ. ქვაჩაკიძემ მოიპოვა პირველობა, გადახტა რა 7.43 მ-ზე, 3 სმ-ით გაასწრო კონკურენტებს ი. ერიომინსა და ე. ჩენს. მაგრამ თუ ვინ წავა მათგან რომში, გადაწყდება მომავალ კვირას.

სიმაღლეზე ხტომაში ბოლშოვსა და შავლაყაძეს, როგორც იტყვიან, „თავი ქუდში აქვთ“. მესამე საგზურისათვის იბრძოდნენ ვ. ხოროშილოვი და ვ. ბრუმელი, ორივემ შეძლო მხოლოდ 205 სმ-ს დაძლევა და საკითხი კვლავ ღიად დარჩა. მესამე კანდიდატის საკითხი გაურკვეველია აგრეთვე ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში, ვაჟთა შორის — 200, 1.500 მ რბენაში, 110 და 400 მ თარჯრბენში, ბადროს ტყორცნაში.

თბილისელმა კალათბურთელმა ქალებმა და ვაჟებმა 2-2 მატჩი ჩაატარეს ჩინეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდთან. ამ სურათებზე აღბეჭდილია ამხანაგური მატჩების ამსახველი მომენტები.

მატჩის ანგარიში სათაურით „ოთხი შეხვედრა ჩინელ კალათბურთელებთან“ იხ. მე-2 გვ.

ჰამბურგის რატუშის შენობაში

ჰამბურგის საქალაქო რატუშის შენობაში გრძელდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების საჭადრაკო მატჩი.

დიდი აღმავლობით ჩაატარეს საბჭოთა გროსმაისტერებმა III ტურის პარტიები. მხოლოდ პოლუგაევსკიმ — უნციკერთან და გელერმა — დარგასთან ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები. დანარჩენი პარტიები მოიგეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა.

გერმანელი მოჭადრაკეები ჩვეულებრივზე უფრო მტკიცედ იბრძოდნენ IV ტურში. მათი ოთხი პარტია საყაიმო შედეგით დამთავრდა. წარმატებას მიაღწია ტრეგერმა კოტოვის წინააღმდეგ, რომელმაც თავიდანვე მოპოვებული უპირატესობა ორი დღის დაუღალავი ბრძოლით გამარჯვებით დააგვირგვინა. ეს გერმანელი მოჭადრაკეების მეორე მოგებული პარტიაა.

სამი შეხვედრა აღინიშნა საბჭოთა მოჭადრაკეების უპირატესობით. ტალმა სწრაფად დასაჯა პფეიფერი დებიუტის ზერელე გათამაშებისათვის, პეტროსიანმა შუა თამაშში აჯობა ბიალას და გამარჯვებისათვის საკმარისი უპირატესობა მოიპოვა, ხოლო ბოლესლავსკიმ იერიშით მოუგო მორლოკს.

კვლავ დიდი ენერგიით ითამაშეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა V ტურში. პეტროსიანმა პფეიფერთან გამარჯვებით ზედიზედ მეხუთე პარტია მოიგო. ტალმა ყაიმი გააკეთა გროსმაისტერ შმიდტთან. ყაიმით დასრულდა აგრეთვე კოტოვ-დარგასა და კერეს-უნციკერის შეხვედრები. ბოლესლავსკიმ, პოლუგაევსკიმ, გელერმა და ანტოშინმა მოიგეს თავიანთი პარტიები.

ამრიგად, V ტურის შემდეგ მატჩის საერთო ანგარიშია 31,5:8,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ტურნირი მაკეევკაში

მაკეევკა. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). მოზარდ ფეხბურთელთა ნახევარფინალურ ტურნირში თბილისის საფეხბურთო სკოლის გუნდს შეხვედრა ჰქონდა ტაგანროგის „ტორპედოსთან“. მთელი თამაშის მანძილზე ინიციატივა თბილისელთა მხარეს იყო და გამარჯვება მოპოვებულ იქნა ანგარიშით 5:1.

ორი ტურის შემდეგ თბილისელებმა დააგროვეს 4 ქულა. გუშინ გუნდს გადამწყვეტი მატჩი ჰქონდა მოსკოვის „სპარტაკთან“.

გ. ბაქანიძე

„ვეფხვები“ კლდეებზე

ორი წლის წინათ კავკასიას ესტუმრა ცნობილი ინგლისელი ალპინისტი ჯონ ჰანტი, რომელიც აღტაცებული დარჩა პირქუშ მწვერვალთა სიდიადით, საბჭოთა მთამსვლელების მაღალი ოსტატობით, მათი სტუმართმოყვარეობით.

ასე დაიბადა საბჭოთა და ინგლისელ ალპინისტთა მეგობრობა, რომლის უფრო გასამტკიცებლად ჯ. ჰანტიმ სურვილი გამოთქვა ინგლისში სტუმრად ჩასულიყვნენ საბჭოთა სპორტსმენები.

და აი, ლონდონიდან სსრ კავშირის ალპინისტური ფედერაციის სახელზე მოვიდა მოწვევის დეპეშა. დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა ჩვენი მთამსვლელების ჯგუფი, რომელშიც სხვებთან ერთად შედიოდნენ ქართველი ალპინისტები მ. ხერგიანი და ი. კახიანი.

გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს ლონდონის აეროდრომზე. საბჭოთა მთამსვლელთა დასახვედრად მოვიდნენ ამ ქვეყნის ალპინისტური საბჭოს, „დიდი ბრიტანეთი-სსრკ“ ასოციაციის წარმომადგენლები, ლონდონის საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები. ჯ. ჰანტმა სტუმრებს წარუდგინა ალპური კლუბის პრეზიდენტი, პროფესორი ჯ. ფინჩი, რომელმაც, როგორც ცნობილია, 1922 წელს პირველმა გამოიყენა ჟანგბადის აპარატი ჩომოლუნგმის იერიშის დროს და მაშინ მან 8321 მეტრის სიმაღლეს მიაღწია.

საბჭოთა ალპინიზმის წარმომადგენლებს პირველი მიღება მოუწყო „ბრიტანეთ-სსრკ“ ასოციაციამ, სადაც მასპინძლები გულთბილად მიესალმნენ ძვირფას სტუმრებს. აქ გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს და განმტკიცდეს საბჭოთა და ინგლისელ მთამსვლელთა მეგობრობა.

საბჭოთა ალპინისტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ალპური კლუბი, სადაც სათუთად დაცული დიდი ბრიტანეთის ალპინისტური რელიქვიები. პატარა ქვები ჩომოლუნგმის, კანჩენჯანღის მწვერვალებიდან, 1786 წელს მონბლანზე პირველი ამსვლელის დოქტორ გ. პაკარის დღიური და სხვ. სტუმრებმა ალპური კლუბის წევრებს უამბეს საბჭოთა მთამსვლელობის განვითარების შესახებ. დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ფილმმა — „მთებს რომ ლაპარაკი შეეძლოს“, სადაც ასახულია უშბის ტრავერსი.

დადგა ჩრდილოეთ უელსის მწვერვალებზე საბჭოთა და ინგლისელ მთამსვლელთა ერთობლივი ასვლის დღე. მარშრუტი ძნელად დასაძლევი აღმოჩნდა. ინგლისელ ალპინისტთა აღფრთოვანება გამოიწვია მ. ხერგიანის, ი. კახიანის, ე. გიპენრეიტერის მაღალმა ოსტატობამ. მ. ხერგიანმა ერთ-ერთ უძლიერეს ინგლისელ მთამსვლელ ჯ. ბრაუნთან მხარდამხარ დაძლია სნოუდონიის მთელი რიგი უძნელესი მარშრუტები. ინგლისელმა მეგობრობის ნიშნად ქართველ სპორტსმენს უსახსოვრა თავისი ქუდი, მაგრამ არც მ. ხერგიანი დარჩენილა ვალში. მან ინგლისელს აჩუქა თეთრი სვანური ქუდი. მთამსვლელობის შესანიშნავი ოსტატობის ჩვენებისათვის ქართველ ალპინისტებს ინგლისელმა კოლეგებმა „ვეფხვები კლდეებზე“ უწოდეს.

საბჭოთა სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პლაზ-ი-ბრენინის სპორტულმა სკოლამ. აქ ახალგაზრდებს შეუძლიათ დაეუფლონ კლდეზე ცოცვას, საბაიდარო ნიჩბოსნობას, ცურვას და სხვ. სკოლის დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა სიამოვნებით მიიღეს ინგლისელ მეგობართა წინადადება ტბაზე ერთად გასეირნების შესახებ. ნაპირიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით ერთ-ერთი ნავი, რომელშიც ჯ. ჰანტი იყო, გადაბრუნდა და მისი ეკიპაჟი წყალში აღმოჩნდა. უეცრად ყურადღება მიიპყრო ადამიანის ფიგურამ, რომელიც ნავიდან ტბაში გადაეშვა. ეს იყო მ. ხერგიანი.

— აი, ინგლის-საბჭოთა მეგობრობის კიდევ ერთი მაგალითი, — ნაპირზე გადმოსვლისას წარმოსთქვა ჯ. ჰანტმა, რომელიც ქართველი ალპინისტი რომ არა, მძიმე ალპინისტური ტანსაცმლით აღჭურვილი ტბის ფსკერისაკენ მიდიოდა...

ინგლისელი ალპინისტებისათვის ტრადიციად იქცა ყოველწლიურად 29 მაისს — ევერესტის დაპყრობის იუბილეს აღნიშვნა. ამ დღესასწაულზე ინგლისელმა მთამსვლელებმა საბჭოთა სტუმრებიც მიიწვიეს, რომლებიც აქ შეხვდნენ საქართველოს ალპინისტებისათვის უკვე კარგად ცნობილ ჩ. ევანსს, ევერესტისათვის ბრძოლის მონაწილეს ა. გრეგორის და სხვებს. რასაკვირველია, აქ ლაპარაკი ჩამოვარდა ლეგენდარულ ჩინელ ალპინისტებზე, რომლებმაც სულ ახლახან დაიპყრეს მსოფლიოს ყველაზე უმაღლესი მწვერვალი ჩრდილოეთის მხრიდან. განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდნენ საბჭოთა მთამსვლელები მ. ხერგიანი, ი. კახიანი და ე. ტური, რომლებმაც ამ ორი წლის წინათ, ამჟამად სახელმოხვეჭილ ჩინელ ალპინისტებთან ერთად დაიპყრეს ლენინის სახელობის პიკი.

საბჭოთა ალპინისტების მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ისინი შოტლანდიის ალპურ კლუბში ინახულა ჯ. ბელმა. ჯერ კიდევ 1930-32 წლებში საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, რომლებსაც ახლდა ამჟამად სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ბელეცკი, ჯ. ბელმა მოახდინა კავკასიის რამდენიმე მწვერვალზე ასვლა, რისთვისაც იგი დააჯილდოეს „სსრ კავშირის ალპინისტის“ ნიშნით. ამ შეხვედრაზე ლორდთა პალატის წევრმა, სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტმა ლორდმა ნეივენმა გამართა ვახშამი საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

მან აღნიშნა საბჭოთა ალპინისტების ინგლისში ჩამოსვლის დიდი მნიშვნელობა, რომ ასეთი კავშირი ხელს უწყობს ამ ორი ქვეყნის ურთიერთგაგების გაუმჯობესების საქმეს. ჯონ ჰანტმა წარმოთქვა მთამსვლელთა მეგობრობის სადღეგრძელო და უსურვა საბჭოთა და ინგლისელ ალპინისტებს წარმატება პამირის მწვერვალების დაპყრობაში.

ნ. ბორისოვი

პლენუმმა განიხილა მტკივნეული საკითხები

გაიმართა საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის V პლენუმი. რესპუბლიკის მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ პლენუმს მოუთხრო საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ი. ხეთაგურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის ბევრი რამ გაკეთდა — გაიზარდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი, გაუმჯობესდა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხი. ახლა მთელ რიგ წამოწყებათა ინიციატორებად გვევლინებიან ცალკეული ფიზკულტურელები, ძირეული კოლექტივები, რაისაბჭოები. ამის უტყუარი მაგალითია კასპელ და ჩოხატაურელ აქტივისტთა ინიციატივა, რომელსაც მთელი რესპუბლიკა გამოეხმაურა.

კასპელთა და ჩოხატაურელთა მოწოდების პასუხად გაშლილ მუშაობაში ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი დაწინაურდა. მოწინავე კოლექტივების რიგებს შეემატნენ თბილისის საელმავლო დეპოს, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, მახარაძის რაიონის შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის და სხვა ორგანიზაციები. ამაღლდა მთელი რიგი საბჭოების მუშაობის ხარისხი: გასულ წელს კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ზუგდიდის, ჩოხატაურის, კასპის, სამტრედიის, ახალქალაქის, გურჯაანის რაისაბჭოებმა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ წარმატებათა იქით არ დაგვენახა ნაკლოვანებები, რომელთა რიცხვი სამწუხაროდ ჯერ კიდევ დიდია. განსაკუთრებით სავალალოა ის ფაქტი, რომ ფიზკულტურული მუშაობის გარეშე დარჩენილი მშრომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი — საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების 87,5 პროცენტი.

ცხადია, ასეთ ფაქტებს არ ექნებოდა ადგილი, რომ სხვა რაიონების (მაგალითად, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დმანისის, ქარელის, ლენტეხის, საგარეჯოსა და ა. შ.) რაისაბჭოებს ემუშავათ ისე როგორც იმუშავეს ზუგდიდში, ჩოხატაურში და კასპში. ზემოაღნიშნულ რაიონებში საშუალოდ მოსახლეობის 5-8 პროცენტია ჩაბმული ფიზკულტურასა და სპორტში.

ფიზკულტურასა და სპორტში ფართო მასების ჩაბმის უგულებელყოფითაა გამოწვეული ისიც, რომ ბაზები ბევრგან აუთვისებელია, მაგალითად, საგარეჯოს საჭიდაო დარბაზი ხშირად ცარიელია, სტადიონი პირუტყვის სათარეშოდ გადაიქცა, ხოლო ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე ახალგაზრდობის ძალებით აგებული კალათბურთის მოედანი ყუთებისა და ბოთლების საწყობად გადააქციეს.

ბევრი წარმოება-დაწესებულების, კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები თავს არ იწუხებენ ბაზების შესაქმნელად. გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის, შრომისა და მელაანის კოლმეურნეობებში არავითარი ბაზა არ აქვთ, ასევეა მარნეულისა და მუღანლოს, მცხეთის რაიონის წილკანის, ძეგვისა და ერედის კოლმეურნეობებში.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც არსებობს სპორტული ღონისძიებების, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის საზაფხულო სპორტული ბანაკების, საწარმოო ტანვარჯიშის, ტურიზმის განვითარების საქმეში.

გავრცელება ვერ ჰპოვა ფიზკულტურასა და სპორტში ხანშესულთა მიზიდვის მოსკოველთა წამოწყებამ. ერთადერთი, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა, „დინამოს" სტადიონია, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. მომხსენებელმა სამართლიანად გააკრიტიკა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სხვა ქალაქების მთელი რიგი საწარმოების პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ ტურიზმს — მშრომელთა გაჯანსაღების ამ საუკეთესო საშუალებას.

დასასრულ მომხსენებელმა უსაყვედურა მედიცინის მუშაკებს არასათანადო დახმარებისათვის. მხილებულ იქნა თბილისის საექიმო ფიზკულტურის № 2 და რესპუბლიკური დისპანსერების სუსტი მუშაობა.

საზოგადოებრივ ფიზკულტურულ აქტივთან მუშაობის შესახებ პლენუმს მოუთხრო სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სამსონაძემ. მან აღნიშნა საზოგადოებრივი სპორტული სექციებისა და ფედერაციების ამოცანები რესპუბლიკის სპორტის განვითარების საქმეში და თქვა, რომ მათი აქტიური დახმარების გარეშე საგრძნობლად გაძნელდებოდა სპორტის ყველა 42 სახეობის განვითარება. სამწუხაროა ის, რომ საზოგადოებრივი სექციები, სპორტული ფედერაციები ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყენებენ თავიანთ უფლებებს, ნაკლებად ზრუნავენ მათზე დაკისრებულ ამოცანათა განხორციელების, საზოგადოებრივი აქტივის აღზრდისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდადაა საქმე აფხაზეთში, სადაც სპორტის მხოლოდ 28 სახეობაა დანერგილი. აფხაზეთში ცუდად მუშაობენ მწვრთნელთა საბჭოები და მსაჯთა კოლეგიები. მაგალითად, ფრენბურთის სექციამ გასული ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოაწყო სხდომა. ცურვის სექცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ გადახალისებულა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სექციებშიც.

საზოგადოებრივ კადრებთან, სექციებთან, მწვრთნელთა საბჭოებთან მუშაობის დარგში ნაკლოვანებები საკმაოდ მოიპოვება თბილისშიც. მაგალითად, ტანვარჯიშის სექციას აქ არა ჰქონია გადარჩევნები უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში.

საზოგადოებრივ კადრებს, საზოგადოებრივ ხელმძღვანელ აქტივს არასათანადოდ აფასებენ სპორტსაზოგადოებათა საბჭოებიც, ნაკლებად ზრუნავენ მათი როლის ამაღლებისათვის.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი. სიტყვებში გამოვიდნენ: „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ო. აბუაშვილი, ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე ნ. მეიფარიანი, სპორტის ოსტატი ე. მელიქიშვილი, სამხრეთ ოსეთის სპორტკავშირის თავმჯდომარე ნ. არბოლიშვილი, თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. რცხილაძე, ჩარხმშენებელი ქარხნის ინსტრუქტორი ე. გასანოვა, თ. კურდღელაშვილი (გორის საფეიქრო კომბინატი), ჭანუყვაძე (შემოქმედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ი. უგულავა („ლელოს" რედაქტორი), გ. ჩიკვაიძე (ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) და სხვ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

დღეს დამთავრდება

დღეს, საღამოს, მოსკოვის სპორტის სასახლეში დამთავრდება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა წინასაოლიმპიადო შეჯიბრება. სავალდებულო ვარჯიშებში ქალთა შორის თავიდანვე დაწინაურდნენ ლატინინა და მურატოვა, რომლებმაც გაიმარჯვეს ბჯენით ხტომებში. ორძელზე წინ იყო ასტახოვა — 9,8 ქ. ხოლო დვირზე ვარჯიშში გამარჯვება წილად ხვდა მურატოვას — 9,7 ქ. მან ხელთ იგდო ლიდერობა. მართალია, თავისუფალ ვარჯიშში ასტახოვასთან (9,8 ქ) წააგო, მაგრამ მოაგროვა რა 38,865 ქულა, მაინც შეინარჩუნა ლიდერობა.

ვაჟთა შორის საინტერესო ბრძოლა გაიმართა შახლინსა და ტიტოვს შორის. ტაიჭზე ვარჯიშში ორივე სპორტსმენმა მიიღო ერთნაირი შეფასება — 9,8 ქ. რგოლებზე ვარჯიშში პირველი იყო შახლინი — 9,8 ქ., რომელმაც მოუგო მსოფლიო ჩემპიონ ა. აზარიანს. ხტომების შემდეგ ლიდერთა რიგებს შეუერთდა პორტნოი, მან ამ იარაღზე 9,7 ქ. მიიღო, მაგრამ ორძელმა უპირატესობა კვლავ შახლინსა და ტიტოვს არგუნა. მათ ერთნაირი შეფასება 9,75 ქ. მიიღეს. ღერძზე ვარჯიშის დამთავრებამდე 0,1 ქულით წინ იყო ტიტოვი, როცა შახლინმა ღერძზე ვარჯიშში დაიმსახურა 9,7 ქ. ანგარიში გათანაბრდა, რის გამო სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ ლიდერობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა თავისუფალ ვარჯიშს. გაიმარჯვა ი. ტიტოვმა — 9,6 ქ. მან გათამაშებული ექვსი იარაღის ჯამში მოაგროვა 58,0 ქულა, შახლინი მეორეზეა — 57,9, პორტნოი მესამეზე — 57,7 ქ.

ამგვარ სურათებს ხშირად ნახავთ რესპუბლიკის ბანაკებში, როცა ნორჩები ერთობიან სხვადასხვა მოძრავი თამაშებით. ეს სურათები გადაღებულია ცეკავშირის სურამის პიონერთა ბანაკში.

ოთხი მატჩი ჩინელ კალათბურთელებთან

ეს იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდის საუკეთესო მატჩი. და საქმე მარტო იმაში კი არაა, რომ რესპუბლიკის პირველმა გუნდმა დაამარცხა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძლიერი ნაკრები, მან ამავე დროს აჩვენა გააზრებული თამაში, ნამდვილად მაღალი კლასის კალათბურთი.

საინტერესო ბრძოლა შეხვედრის პირველსავე წუთებზე დაიწყო და იგი არ შემწყდარა მატჩის ბოლომდე. დასაწყისში ძნელი დასადგენი იყო, რომელ გუნდს ჰქონდა უპირატესობა. როგორც ჩინელები, ისე მასპინძლები მთელი მონდომებით თამაშობდნენ და ანგარიშიც ერთიორი ქულის განსხვავებით მერყეობდა. მე-11 წუთზე წინ გავიდნენ თბილისელი სპორტსმენები, რომელთა შორის ოსტატური თამაშით გამოირჩეოდა თ. საბადაშვილი. ამის შემდეგ უპირატესობა ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად გადავიდა მასპინძლების მხარეს. პირველი ნახევარი დამთავრდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა სასარგებლოდ — 28:22.

მეორე ტაიმში შეხვედრამ კიდევ უფრო მძაფრი ფორმები მიიღო, შეტევა შეტევას მისდევდა, კომბინაცია-კომბინაციას და ამ ბრძოლაში სულ უფრო აშკარა ხდებოდა თბილისელ სპორტსმენთა ფიზიკური და ტაქტიკური უპირატესობა. ინიციატივა მთლიანად მასპინძლების ხელში გადავიდა და ჩინელებმაც ფაქტიურად შეწყვიტეს ბრძოლა, შედეგმაც არ დააყოვნა — გაიზარდა ანგარიშში სხვაობა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამარჯვებაც გარდაუვალი გახდა. რესპუბლიკის უძლიერესმა კოლექტივმა მოიგო შეხვედრა ძლიერ მეტოქესთან ანგარიშით 67:51. აღსანიშნავია, რომ გუნდის ყველა წევრმა კარგად ჩაატარა მატჩი და თანაბარი წვლილი შეიტანა ამ დამაჯერებელ გამარჯვებაში.

სულ სხვაგვარად წარიმართა ვაჟთა გუნდების შეხვედრა. სტუმრების შემადგენლობა აქ გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ქალებთან. ჩინელები შესანიშნავად იყვნენ მომზადებულნი ფიზიკურად, ხოლო ტექნიკაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მიუხედავად ამისა, მათი დამარცხება თითქოს გარდაუვალიც უნდა ყოფილიყო და კანონზომიერიც. ორი თანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრაში დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ აეწყობა თამაში, რომელი გუნდი ჩაიგდებს ხელში პირველსავე წუთებზე იმ უმნიშვნელო ინიციატივას, რომელიც შემდეგ საგრძნობ უპირატესობაში უნდა გადაიზარდოს. „დინამომ" თამაში დაიწყო ისე, როგორც ეს საჭიროა გამარჯვებისათვის: წაიყვანა ანგარიში და ნელ-ნელა იწყო უპირატესობის განმტკიცება. მე-15 წუთამდე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ სულ მალე „დინამოს" ხუთეულს პირველი ბზარი გაუჩნდა. სტუმრებმა მტკიცედ „ჩაკეტეს" დინამოელთა სწრაფი თავდამსხმელი ლ. ინწკირველი. რამდენიმე დაბეჯითებითი ცდის მიუხედავად, მან ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი ჩინელების ეფექტურ დაცვას. ინწკირველის თამაშმა დაჰკარგა გონივრულობის კონტროლი და მისი ყოველი მოქმედება ერთ შეუნელებელ ინსტინქტამდე იქნა დაყვანილი: როგორმე გასულიყო მოწინააღმდეგის ფარქვეშ, დაირღვა ანსამბლის ერთიანი მოქმედება, ურთიერთგაგება და ანგარიშში სხვაობაც მინიმუმამდე დავიდა.

სწორედ ამ მომენტში იყო საჭირო ინწკირველის დროებითი შეცვლა. სათადარიგოთა სკამზე იგი დამშვიდდებოდა, ანალიზს გაუკეთებდა თავის თამაშს და შემდეგ გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანდა გუნდს. მაგრამ ეს შეცვლა არ მოხდა. პირიქით, მოედანი რატომღაც აბაშიძემ დასტოვა, რომელიც ამ დღეს კარგად თამაშობდა.

ჩინელებმა კარგად გამოიყენეს თბილისელთა რიგებში მომხდარი არევ-დარევა და სულ ადვილად იგდეს ხელთ ინიციატივა. დაკარგა სიმწვავე ალტაბაევის იერიშებმაც, რომელიც მანამდე საუკეთესო იყო მოედანზე. გამოუყენებლად იდგა მოედანზე ა. ლექავა, რომელიც იშვიათად იღებდა ბურთს მაშინაც კი, როცა ხელს არავინ უშლიდა მას. დინამოელების ეპიზოდურ და ამავე დროს ქაოტურ იერიშებს უკვე აღარ შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება და მატჩი წაგებულ იქნა — 69:78.

გუშინ ჩინელმა კალათბურთელებმა კიდევ ორი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს თბილისელ სპორტსმენებთან. ამჯერად სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა დედაქალაქის ნაკრები გუნდები. ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა ანგარიშით 56:48. ვაჟთა გუნდების შეხვედრაშიც გაიმარჯვეს თბილისის კალათბურთელებმა — 87:76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

166 მონაწილე

✦

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

✦

ამდენ მონაწილეს ჯერ არასდროს მოუყრია თავი „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში. 26 რაიონის 166 სპორტსმენმა გამოთქვა გამარჯვებისათვის ბრძოლის სურვილი, რის გამო საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში დილიდან გვიან ღამემდე არ წყდებოდა ჭიდილი, ხალხის ყიჟინა და მსაჯის სასტვენის ხმა. ხალიჩაზე წყვილი წყვილს ცვლიდა, მსაჯი—მსაჯს. ხუმრობა ხომ არ იყო, სამ დღეში 7 წრის ჩატარება და თანაც თვითეულ წონით კატეგორიაში 16-18 სპორტსმენი იყრიდა თავს.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, წყვილთა უმეტესობის შეხვედრები საინტერესოდ ჩატარდა, მონაწილენი ავლენდნენ ტექნიკის ღრმა ცოდნას, რაც ასე აუცილებელია სუფთა გამარჯვებისათვის. ჩატარებული 247 შეხვედრიდან 187 დამთავრდა სუფთა ან აშკარა გამარჯვებით.

განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო გამარჯვების მსურველთა რაოდენობა დაბალ წონებში. უმჩატესში კარგად დაიწყეს ჭიდაობა მცხეთელმა სპორტის ოსტატმა ზ. მონასელიძემ და ონელმა ა. ლობჟანიძემ. პირველმა 3,15 წამში დაამარცხა ახალციხელი ჩიტაშვილი, ხოლო მეორემ ქულებით სძლია საგარეჯოელ სონაშვილს. შემდეგში მათი ბრძოლები სხვადასხვანაირად წარიმართა, ლობჟანიძემ ფინალამდე კიდევ სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივეში გამარჯვებას მიაღწია. მან მეორე წრეში 11,30 წუთში მოუგო ბათუმელ ჯაბუას, შემდეგ ისვენებდა, მერე ზედიზედ დაამარცხა სამგორელი ვარდანაშვილი (1,40 წ.), მახარაძელი, კარგი მომავლის მქონე ხომერიკი (5,05 წ.) და მეექვსე წრეში კვლავ დაისვენა.

სამაგიეროდ, კენჭისყრამ დასვენება არ არგუნა მონასელიძეს, მიუხედავად ამისა, იგი ფინალამდე ისე მივიდა, რომ ერთი საჯარიმო ქულაც კი არ ჰქონია, მარტო ხაშურელმა ნოზაძემ გაუძლო მას II წრეში 12 წუთის განმავლობაში, დანარჩენი ხუთი მოწინააღმდეგის ბეჭებზე დასადებად დახარჯა 17 წუთი და 30 წამი და ფინალში შეხვდა ლობჟანიძეს.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბრძოლა. ოსტატმა, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგესთან შედარებით ორით მეტი ბრძოლა ჰქონდა გადახდილი, მაინც შეძლო ძლიერი კონკურენტის წინააღმდეგობის გატეხვა, თუმცა ამჯერად ქულებით გამარჯვებას დაჯერდა. მესამე ადგილზე გამოვიდა გ. სონაშვილი.

მჩატე წონაში ონელი სპორტის ოსტატი ა. მაისურაძე, რომელმაც I წრეში ადვილად დაამარცხა წყალტუბოელი ობოლაძე, უკვე II წრეში წააწყდა სოხუმელ უსვანჯის გადაულახავ წინააღმდეგობას და იძულებული გახდა „ყაიმით" დაკმაყოფილებულიყო, რამაც მისი გამარჯვება ერთგვარი საფრთხის წინაშე დააყენა. სწორედ აქ იჩინა თავი ონელის შეუპოვრობამ, მოიგო დარჩენილი შეხვედრები და მასთან ერთად ჩემპიონობაც. ამ წონაში მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ საგარეჯოელი უ. კველიშვილი და მახარაძელი გ. ბაქანიძე.

კარგად ჩაატარა ტურნირი ქვემსუბუქი წონის მოჭიდავემ ნ. ხოხაშვილმა (სამგორი), მან ყველა შეხვედრა მოიგო სუფთად და მხოლოდ ფინალში დასჯერდა ქულებით გამარჯვებას სოხუმელ რ. ჯანაშიასთან, რამაც ეს უკანასკნელი მესამე ადგილზე „გადააგდო". მეორე ადგილი წილად ხვდა ზ. ქურხულს (საგარეჯო).

სხვა წონებში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს გამარჯვებულებმა სტალინირელმა ზ. კორაევმა (მსუბუქი წონა), ტ. ჩარბაძემ (სამგორი, ქვესაშუალო წონა), ა. ცხოვრებოვმა (სამგორი, საშუალო წონა), ამბროლაურელმა ქვემძიმე წონის სპორტსმენმა ი. სალარაძემ და სოხუმის გუნდის წევრმა ზ. ხარაშვილმა (მძიმე წონა). ისინი უდავოდ უძლიერესები იყვნენ მოწინააღმდეგეზე, როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მათ ჩატარებულ შეხვედრათა უმეტესობა სუფთა გამარჯვებით დაამთავრეს.

შეჯიბრების დროს ქვემძიმე წონაში საგარეჯოელმა გ. გზირიშვილმა მოიპოვა მეორე ადგილი და ოსტატობა. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ: სამგორის, საგარეჯოსა და ახმეტის მოჭიდავეები.

ო. იმდოშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

საფეხბურთო პირველობა

საქართველოს
პირველობა

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 2 აგვისტოსათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია" ლანჩხუთი	16	12	1	3	40:13	25
„მეშახტე" ტყიბული	15	9	4	2	32:13	22
„შუქურა" ქობულეთი	16	8	4	4	27:20	20
„განთიადი" ცხაკაია	14	8	3	3	24:18	19
სკა თბილისი	15	7	2	6	28:18	16
ფიზ. ინსტ. თბილისი	15	6	4	5	27:20	16
„ლოკომოტივი" სამტრედია	14	6	3	5	28:24	15
„ფეიქარი" წულუკიძე	16	4	6	6	28:23	14
„ბახმარო" ჩოხატაური	15	4	4	7	15:25	12
„კოლხეთი" ხობი	16	5	2	9	16:29	12
„დინამო" ქუთაისი	15	2	5	8	13:30	9
„კოლმეურნე" თელავი	15	4	1	10	25:52	9
„ქიმიკოსი" რუსთავი	14	3	1	10	19:36	7

* * *

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იმერეთი" ქუთაისი	14	12	2	0	27:9	26
„სინათლე" თბილისი	13	9	2	2	26:13	20
„მესხეთი" ახალციხე	15	9	2	4	26:17	20
„კოლხეთი" ფოთი	15	5	6	4	25:18	16
„ისანი" თბილისი	15	6	3	6	27:19	15
„სიხარული" მახარაძე	13	6	2	5	25:21	14
„დინამო" სოხუმი	14	6	1	7	22:22	13
„დილა" გორი	13	5	2	6	21:26	12
„სპარტაკი" სტალინირი	14	5	1	8	11:21	11
„განთიადი" ბათუმი	13	3	3	7	11:22	9
„ოდიში" ზუგდიდი	15	2	4	9	16:27	8
„მაღაროელი" ჭიათურა	14	2	0	12	22:45	4

მეორე ჯგუფი

მდგომარეობა 2 აგვისტოსათვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე" ტყიბული	14	9	2	3	28:15	20
„მეტალურგი" ზესტაფონი	14	8	2	4	38:22	18
„სალხინო" გეგეჭკორი	13	8	2	3	32:20	18
„საირმე" მაიაკოვსკი	14	7	2	5	22:21	16
„ცისარტყელა" აბაშა	13	6	3	4	23:25	15
„ლაითური" მახარაძე	14	4	6	4	19:17	14
„ხვამლი" ცაგერი	14	4	6	4	15:17	14
„სამეგრელო" ზუგდიდი	14	4	6	4	17:20	14
„ნარინჯი" ჩაქვი	14	5	2	7	20:29	12
„კოლმეურნე" ამბროლაური	13	3	4	6	18:17	10
„ალი" დიდიჯიხაიში	14	3	4	7	17:24	10
„ნაკადული" ჩხოროწყუ	13	3	4	6	13:23	10
„კოლმეურნე" საჩხერე	14	2	3	9	19:31	7

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„რიონი" ქუთაისი	14	11	1	2	38:9	23
„განთიადი" გუდაუთა	15	8	4	3	34:17	20
„ცისკარი" ბათუმი	14	8	3	3	34:16	19
„შახტიორი" ტყვარჩელი	15	7	5	3	25:13	19
„ტორპედო" გაგრა	14	8	3	3	33:22	19
ლენინის სახ. შახტი ტყიბული	15	9	1	5	20:24	19
„ნარინჯი" გალი	15	3	7	5	17:21	13
„თაიგული" ლანჩხუთი	14	2	8	4	14:17	12
„ვოდნიკი" ფოთი	15	4	3	8	19:22	11
„სპარტ". ვანი	14	3	5	6	28:40	11
„შრ. რეზერვები" ოჩამჩირე	14	4	3	7	17:32	11
„ინგირი" ზუგდიდი	14	4	2	8	21:36	10
„სპარტაკი" ჩოხატაური	15	2	4	9	17:36	8
„სპარტაკი" მახარაძე	14	2	3	9	8:29	7

III ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მექანიზატორი" ადიგენი	15	10	4	1	27:11	24
„გრდემლი" თბილისი	14	8	3	3	31:18	19
„ტორპედო" თბილისი	12	7	4	1	23:11	18
„აბული" ახალქალაქი	14	7	3	4	29:17	17
„ალგეთი" თეთრი წყ	14	5	5	4	28:25	15
„ჩანჩქერი" ბორჯომი	15	5	5	5	26:24	15
„არაგვი" დუშეთი	14	6	3	5	31:34	15
„რატევანი" ბოლნისი	15	3	5	7	18:27	11
„ელმავალი" თბილისი	14	4	2	8	23:26	10
„ბიშჩევიკი" თბილისი	13	4	1	8	14:25	9
„ლოკომოტივი" გურჯაანი	14	3	3	8	15:41	9
„განთიადი" კასპი	14	2	2	10	16:24	8

IV ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დურუჯი" ყვარელი	14	10	1	3	37:17	21
„კოლმეურნე" გურჯაანი	14	7	3	4	30.19	17
„ჩანჩქერი" ლაგოდეხი	13	6	5	2	27:20	17
„ქართლი" ქარელი	14	7	2	5	32:26	16
„შირაქი" წითელ წყ.	13	5	4	4	20:19	14
„თრიალეთი" წალკა	12	5	3	4	15:9	13
„არაგვი" მცხეთა	14	4	4	6	17:26	12
„მშენებელი" რუსთავი	13	4	4	5	20:30	12
ახალგ. ფეხ. სკ. თბილისი	12	4	2	6	14:15	10
„ნარიყალა" თბილისი	12	4	0	8	25:30	8
„ნადიკვარი" თელავი	11	0	2	9	11:37	2

31 ივლისის მატჩები

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ცხაკაიაში თამაშობდნენ ადგილობრივი „განთიადი" და რუსთავის „ქიმიკოსი". მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი წულუკიძეში ადგილობრივ „ფეიქარსა" და თბილისის არმიელთა შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი ჩოხატაურში ქვეჯგუფის ლიდერს — ტყიბულის „მეშახტესა" და ადგილობრივ „ბახმაროს" შორის, სტუმრებმა სწრაფი შეტევებით დაიწყეს მატჩი და პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 2:0. მეორე ტაიმში ჩოხატაურელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და გაიტანეს კიდეც ერთი ბურთი. მაგრამ ეს იყო მათი მაქსიმუმი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „მეშახტემ".

ლანჩხუთის „გურიამ" საკუთარ მინდორზე მიიღო ქობულეთის „შუქურა". სტუმრები კარგად თამაშობდნენ შუა მინდორზე, მაგრამ კარის სიახლოვეს თავდამსხმელები ხშირად კარგავდნენ ბურთს ან არაზუსტად ურტყამდნენ კარში. შემდგომში ინიციატივა გადავიდა ლანჩხუთელთა მხარეს, რომლებმაც მიაღწიეს კიდეც გამარჯვებას ანგარიშით 1:0.

სამტრედიის რკინიგზელებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს თელავის გუნდი და პირველი ტაიმი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 3:0. თელაველებმა გაცილებით უკეთესად ჩაატარეს მეორე ტაიმი, მაგრამ პირველ ტაიმში დაკარგულის ანაზღაურება შეუძლებელი აღმოჩნდა. მატჩი მოიგეს სამტრედიელებმა — 5:2.

ქუთაისის „დინამო" მორიგ მატჩზე არ გამოცხადდა ხობში, რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება.

სტალინირის „სპარტაკს" მორიგი მატჩი ჰქონდა ახალციხეში ადგილობრივი „მესხეთის" წინააღმდეგ. გამარჯვება დარჩათ ახალციხელებს, რომლებმაც ერთადერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში.

საინტერესოდ წარიმართა მატჩი ფოთში ადგილობრივ „კოლხეთსა" და ჭიათურის „მაღაროელს" შორის. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ანგარიში იყო 5:2 „კოლხეთის" სასარგებლოდ. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილ იქნა თითო ბურთი და გამარჯვება დარჩათ ფოთელებს — 6:3.

ძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ქუთაისში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „იმერეთი" (ქუთაისი) და „ოდიში" (ზუგდიდი). ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „იმერეთმა".

ბათუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „განთიადი" და თბილისის „ისანი". თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 4:2.

* * *

მეორე ჯგუფი

I ზონა

„ცისარტყელა" (აბაშა)-„კოლმეურნე" (ტყიბული) — 3:2, „მეტალურგი" (ზესტაფონი)-„კოლმეურნე" (საჩხერე) — 4:2, „საირმე" (მაიაკოვსკი)-„ალი" (დიდიჯიხაიში) — 0:0, „ლაითური" (მახარაძე)-„ნაკადული" (ჩხოროწყუ) — 2:0, „ნარინჯი" (ჩაქვი)-„სალხინო" (გეგეჭკორი) — 2:2, „სამეგრელო"" (ზუგდიდი)-„ხვამლი" (ცაგერი) — 0:0.

II ზონა

ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-„სპარტაკი" (მახარაძე) — 2:1, „განთიადი" (გუდაუთა)-„ვოდნიკი" (ფოთი) — 2:0, „ნარინჯი" (გალი)-„თაიგული" (ლანჩხუთი) — 1:1, „ტორპედო" (გაგრა)-„შახტიორი" (ტყვარჩელი) — 2:1, „სპარტაკი" (ვანი)-„სპარტაკი" (ჩოხატაური) — 7:1, „შრ. რეზერვები" (ოჩამჩირე)-„ცისკარი" (ბათუმი) — 0.4, „რიონი" (ქუთაისი)-„ინგირი" (ზუგდიდი) — 3:0.

III ზონა

„რატევანი" (ბოლნისი)-„ტორპედო" (თბილისი) — 2:2, „ალგეთი" (თეთრი წყარო)-„გრდემლი" (თბილისი) — 3:1, „მექანიზატორი" (ადიგენი)-„აბული" (ახალქალაქი) — 2:0, „ლოკომოტივი" (გურჯაანი)-„განთიადი" (კასპი) — 3:0, „არაგვი" (დუშეთი)-„ჩანჩქერი" (ბორჯომი) — 0:3.

IV ზონა

„არაგვი" (მცხეთა)-„მშენებელი" (რუსთავი) — 3:1, „შირაქი" (წითელწყარო)-„ქართლი" (ქარელი) — 1:1, „ჩანჩქერი" (ლაგოდეხი)-„დურუჯი" (ყვარელი) — 2.1, „თრიალეთი" (წალკა)-„კოლმეურნე" (გურჯაანი) — 1:0.

სურათზე: დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ქართული ჭიდაობის სექცია მეცადინეობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

იაპონია ამზადებს ტანმოვარჯიშეებს

იაპონელი ტანმოვარჯიშეები ჩემპიონობის ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენდენტებს წარმოადგენენ რომის ოლიმპიადაზე. თამაშებისათვის ისინი ემზადებიან ისე, როგორც არასდროს. ბოლო ხანებში მოეწყო რამდენიმე სერიოზული შეჯიბრება, სადაც ოლიმპიელ ტანმოვარჯიშეთა რიგები შეივსო ახალი სახელებით. მაგალითად, იაპონიაში ბევრს ლაპარაკობენ სრულიად ახალგაზრდა ტოკიოელი სტუდენტების — ცურუმის, მიცუკურისა და ვატანაბეს შესახებ. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ შეცვალონ გამოცდილი და ძლიერი ვეტერანები.

ამას წინათ ნაგაოკაში მოეწყო მორიგი შესარჩევი შეჯიბრება, სადაც იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა ცხადყვეს, რომ ისინი საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან. იაპონიის ჩემპიონმა ტაკასი ონომ გაიმარჯვა მრავალჭიდში მეტად მაღალი შედეგით — 116,40 ქულა და საგრძნობლად გაასწრო ტოკიოს უნივერსიტეტის ტანვარჯიშული ინსტიტუტის დირექტორს, მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალ ვარჯიშში 40 წლის მასაო ტაკემოტოს (114,65 ქულა). ამ ორ გამოჩენილ ოსტატს დიდად არ ჩამორჩნენ მიცუკური (114,45 ქულა), ცურუმი (114,40 ქულა), ენდო (114,32 ქულა).

მათ გარდა ნაკრების შემადგენლობაში არიან ცნობილი ტანმოვარჯიშეები აიხარა, კონო, ტერაი, კუბოტა და სხვანი.

მალე მოეწყობა უკანასკნელი, მე-4 შესარჩევი შეჯიბრება, სადაც საბოლოოდ დადგინდება იაპონიის ოლიმპიური ნაკრები გუნდი ტანვარჯიშში.

ნოკაუტი ყალბი იყო

ამერიკული სენატის საგანგებო ქვეკომისია შეუდგა ე. წ. „შავი რინგის" გარშემო შექმნილ მაქინაციათა გარჩევას.

ქვეკომისიაში პირველად გამოძახებულ იქნა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი პროფესიონალთა შორის საშუალო წონის მოკრივე ჯეკ ლა მოტა, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა 1949 წელს მ. სერდანთან ბრძოლაში. „ბოქსინგ-ბიზნესის" გამგებელთა გარკვეული ფინანსური კომბინაციის თანახმად ლამოტას ჩემპიონის ტიტული უნდა შეენარჩუნებია ორი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ წაეგო რ. რობინსონთან 1951 წელს. ეს კომბინაცია ზუსტად იქნა განხორციელებული.

სენატის ქვეკომისიამ მოითხოვა, რათა ჯ. ლა მოტას სრული სიმართლე მოეთხრო 1947 წელს ნიუიორკში ბილი ფოქსთან ჩატარებული ბრძოლის შესახებ. ამ ბრძოლაში ლა მოტა ნოკაუტირებული იქნა მეოთხე რაუნდში და როგორც გაზეთები სწერდნენ: „იგი ყოველნაირად ცდილობდა დაეთმო გამარჯვება ბ. ფოქსისათვის".

ლა მოტამ აღიარა, რომ მას შეაძლიეს დიდი თანხა, მაგრამ მან უარი თქვა ფულზე, სამაგიეროდ, ფოქსთან დამარცხების საფასურად მოითხოვა ოფიციალური მატჩი მაშინდელ ჩემპიონ მ. სერდანთან.

ქვეკომისიის ერთ-ერთმა წევრმა პირდაპირი შეკითხვა დაუსვა ლა მოტას: „ნოკაუტი ყალბი იყო, ხომ ასეა?". მოკრივემ ასევე პირდაპირ უპასუხა: „დიახ...".

ლა მოტამ დააზუსტა აგრეთვე, რომ იძულებული იყო გადაეხადა 20 ათასი დოლარი მ. სერდანის მეპატრონეებისათვის, ვინაიდან უამისოდ ისინი არ იძლეოდნენ თანხმობას მატჩის ჩატარებაზე.

* * *

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თხოვს სპორტის დამსახურებულ ოსტატებსა და დამსახურებულ მწვრთნელებს გამოცხადდნენ რედაქციაში 15 აგვისტომდე დილის 10 საათიდან 12 საათამდე

რომის გზაზე

უცხოეთის პრესა, სპეციალისტები და კომენტატორები ოლიმპიური პროგნოზების ბევრ პუნქტში სხვადასხვაგვარ შეხედულებებს გამოთქვამენ. შეიძლება ითქვას, რომ კალათბურთი სპორტის ერთადერთი სფეროა, სადაც უმეტესობის აზრი ერთ წერტილს ემთხვევა. ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი — აი, ორი კოლექტივი, რომელთა ბრძოლაში უნდა გამოვლინდეს ოქროს მედლების მფლობელები.

საბჭოთა კალათბურთელებმა ოლიმპიურ ტურნირში პირველად 1952 წელს მიიღეს მონაწილეობა. მაშინ დავა უძლიერესის სახელისათვის შეერთებული შტატების სპორტსმენთა სასარგებლოდ გადაწყდა. გავიდა ოთხი წელი და ოლიმპიურ ფინალში კვლავ საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების კალათბურთელები შეხვდნენ, და ისევე, როგორც ჰელსინკში, მელბურნშიც გამარჯვება კალათბურთის სამშობლოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჯონსმა თამაშების დამთავრების შემდეგ განაცხადა: „საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ზრდის ფანტასტიკური ტემპები ყველასათვის არის ცნობილი, მაგრამ იმისათვის, რომ რუსებმა დაამარცხონ ამერიკელები სულ ცოტა 8 წელი მაინცაა საჭირო". სულ სამიოდე წელი გავიდა ამ პრეტენციოზული განცხადების შემდეგ და საბჭოთა კალათბურთის სკოლამ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია სანტ-იაგოს მსოფლიო ჩემპიონატში. 62:37! ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა ჩვენმა ნაკრებმა ამერიკის საუკეთესო გუნდი და დაუსვა წერტილი შეერთებული შტატების მსოფლიო ჰეგემონიას კალათბურთში. მართალია, 1959 წლის ბოლოს ჩვენმა ნაკრებმა გუნდმა ამერიკაში მოგზაურობის დროს 6 შეხვედრიდან 4 წააგო, მაგრამ მითი ამერიკული კალათბურთის უძლეველობის შესახებ უკვე შესამჩნევად იყო დანგრეული.

და მაინც, როდესაც ლაპარაკია მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონზე, ერთი წუთითაც არ შეიძლება შეერთებული შტატების პოტენციურ შესაძლებლობათა დავიწყება.

განვლილმა შვიდმა წელმა ბევრი რამ შესცვალა ამ ორი ქვეყნის ძალთა თანაფარდობაში. ბევრი საკითხი, რაც წინათ პრობლემატური იყო ჩვენი გუნდისათვის, დღეს წარმატებით გადაიჭრა უფრო პროგრესული, საბჭოთა კალათბურთის სასარგებლოდ. ასე მაგალითად, ერთ დროს ჩვენი გუნდის წინაშე მთელი სიმწვავით იდგა სიმაღლის საკითხი, რომელშიც ამერიკელი კოლეგები აშკარად გვჩაგრავდნენ. მაშინ ყველაზე მაღალი კალათბურთელის სიმაღლე ჩვენს გუნდში 192 სმ იყო (ო. ქორქია). ამერიკელებს კი ჰყავდათ 214, 209, 206 და 204-სანტიმეტრიანი სპორტსმენები. დღეს ასეთი უთანასწორო შეფარდება მთლიანად შეიცვალა საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელ კალათბურთელთა საშუალო სიმაღლე 194 სანტიმეტრი იყო, ხოლო საბჭოთა სპორტსმენებისა — 188, შემდგომ თამაშებში საბჭოთა გუნდის სიმაღლე 8 სანტიმეტრით გაიზარდა, ხოლო ამერიკელთა — 0,5 სანტიმეტრით. კიდევ სამი წელი დასჭირდათ საბჭოთა კალათბურთელებს, რომ გაესწროთ ამერიკელებისათვის საშუალო სიმაღლეში. დღეს ჩვენი ნაკრები მსოფლიოში ყველაზე მაღალი გუნდია.

სიმაღლეს თანამედროვე კალათბურთში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და იგი თითქმის მთლიანად განაპირობებს წარმატებას ორი თანაბარი კლასის გუნდების შეხვედრაში. სიმაღლე მთავარი ფაქტორია ფარიდან ასხლეტილი ბურთისათვის ბრძოლაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს როგორც თავდასხმის შედეგიანობას, ისე დაცვის ეფექტურობას როგორც ხედავთ, ამ მხრივაც უპირატესობა საბჭოთა ნაკრების მხარესაა.

მაგრამ კალათბურთის არსი, ისევე როგორც სხვა სპორტული თამაშებისა, ბოლოსდაბოლოს კალათის ალებაში მდგომარეობს, რაც შეუძლებელია ზუსტი, უშეცდომო სროლების გარეშე. ამ მხრივ საგულისხმოა საბჭოთა კალათბურთელების ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მასპინძლებმა 6 თამაშში 466 ბურთი გაიტანეს, ჩვენებმა კი 444. და თუ ანალიზს გავუკეთებთ ამ ქულებს, ვნახავთ, რომ ზედმეტი 22 ბურთიდან — 20 საჯარიმო სროლების ხარჯზეა მიღებული. ჩვენმა გუნდმა აღნიშნულ შეხვედრებში 202 საჯარიმო სროლა განახორციელა. მათ შორის 126 უშეცდომო იყო. ამერიკელებმა კი 197 საჯარიმო სროლიდან 176 გამოიყენეს.

საჯარიმო სროლების წარმატებით შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს კალათბურთში. ამ მიზნით საბჭოთა კავშირში უკვე ორი წელია, რაც ტარდება კონკურსი. საუკეთესო შედეგს ამ კონკურსებში მიაღწია კიშინიოველმა სტუდენტმა შოსტაკმა — 133. ამერიკელების რეკორდი გაცილებით უკეთესია — 499 ქულა და ერთი შეცდომის შემდეგ ისევ 228.

მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული მაინც სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა. ნამდვილი თამაში გულისხმობს ბევრ ისეთ ნიუანსს, რომელიც მხოლოდ ბრძოლის პირობებში იქმნება, ასე, რომ სიძლიერის ყველაზე ზუსტ საზომად მაინც „ბურთი და მოედანი" რჩება.

ამერიკელები ბოლოსდაბოლოს მიხვდნენ, რომ წავიდა დრო, როდესაც ისინი ნებისმიერი შემადგენლობით, იოლად იღებდნენ ტურნირებში პირველ ადგილებს. შეერთებულ შტატებში ბევრია მაღალი კლასის კალათბურთელი, მაგრამ მათგან ერთი მონოლითური გუნდის შედგენა არც ისე იოლი საქმეა. ამერიკელმა მწვრთნელებმა მთავარი ყურადღება გადაიტანეს ნაკრების წევრთა შერჩევაზე. ამ მიზნით ქალაქ დენვერში მოეწყო შესარჩევი ტურნირი „ფილიპს ოილერსის 66", „აკრონ გუდიერის", „პეორია კეტერპილარსის", „ოგაიოს" უნივერსიტეტების, შეიარაღებული ძალების და სტუდენტთა სპორტული გაერთიანების ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ფინალში უნივერსიტეტების ნაკრებმა დაამარცხა „პეორია კატერპილარსი" — 124:97. მხოლოდ ამის შემდეგ დაკომპლექტდა ეროვნული ნაკრები, რომელშიც შევიდნენ ო. რობერტსონი, ჯ. უესტი, დ. იმხოფი, მ. დისჩინგერი, ჯ. არნეტი, უ. ბელამი (უნივერსიტეტების ნაკრები), რ. ბუზერი, ა. კელი („კატერპილარსი"), ა. სმიტი (შეიარაღებული ძალები), ჯ. ლუკასი („ოგაიო"), ბ. ხოლდერსონი და დ. ლეიცი („ფილიპს ოილერსი 66").

ამერიკული ჟურნალი „კოუჩ ენდ ატლეტი" ასეთ დახასიათებას აძლევს ნაკრების ზოგიერთ წევრს: ო. რობერტსონი — უბრწყინვალესი მოთამაშე, შეუდარებელი როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში, თამაშში საშუალოდ 34 ბურთს იძლევა; ჯ. ლუკასი — მიმდინარე სეზონის ახალი ვარსკვლავი, რომელიც სულ მალე ამერიკის საუკეთესო კალათბურთელი გახდება. სიმაღლე 203 სმ. არაჩვეულებრივად მოძრავი, კარგი სნაიპერი. თამაშში საშუალოდ 20 ბურთს იძლევა. ჯ. არნეტი — სიმაღლე 188 სმ. შესანიშნავი დრიბლიორი. ძალზე შედეგიანი თავდამსხმელი ჯ. უესტი სიმაღლე — 190 სმ. თამაშში საშუალოდ 30 ქულას იძლევა. არაჩვეულებრივად სწრაფი და მოძრავი დ. იმხოფი — ცენტრალური თავდამსხმელი. სიმაღლე 208 სმ. კარგად თამაშობს დაცვაშიც. უ. ბელამი — დიდი მომავლის მქონე კალათბურთელი, ერთნაირად კარგად თამაშობს როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში და სხვ.

ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრების შესაძლებლობათა შესახებ კატეგორიულად რაიმეს თქმა ძნელია. ცხადია მხოლოდ ერთი: იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა აიღოს ჩილში სამარცხვინო დამარცხების რევანში.

ნ. ახვლედიანი

* * *

რედაქტორი ი. უგულავა.

ფეხბურთი

„დინამოს" სტადიონი

საკავშირო პირველობა „ა" კლასის გუნდებისათვის

4 აგვისტო

„დინამო" (თბილისი) — სკა (როსტოვი)

(დუბლშემადგენლობა)

• • •

5 აგვისტო

„დინამო" (თბილისი) — სკა (როსტოვი)

(ძირითადი შემადგენლობა)

დასაწყისი 18 ს. 15 წ.

ცუდი ამინდის შემთხვევაში დუბლშემადგენლობათა გუნდების მატჩი შედგება 26 კომ. სახ. რაიონის სტადიონზე.

6 აგვისტო

„დინამოს" სტადიონი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა „ბ" კლასის გუნდებისათვის

„დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (თბილისი)

დასაწყისი 18 ს. 15 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04325